<u>**პროექტი**</u>

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №

2019 წლის ქ. თბილისი

„ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 12/01/2011, 340170000.10.003.016170) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-7 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,გ“ ქვეპუნქტი:

,,გ) კიბოსნაირების (რომელიც მიეკუთვნება Crustacea-ს ქვეტიპს) და მისი პროდუქტების ექსპორტისას“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 90 -ე დღეს .

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

განმარტებითი ბარათი

„ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბერის N429 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე

ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტი ითვალისწინებს „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბერის N429 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

პროექტის მომზადება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მომართეს სურსათის ბიზნესოპერატორებმა, რომლებიც ეწევიან ტბორებში მდინარის კიბოს კულტივირება/გამოზრდას.

მდინარის კიბო, ექსპორტზე გატანისას, ექვემდებარება ვეტერინარულ სერტიფიცირებას „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბერის №430 დადგენილების საფუძველზე. შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნება „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბერის №429 დადგენილებაში განისაზღვროს კიბოსნაირების (რომელიც მიეკუთვნება Crustacea-ს ქვეტიპს) და მისი პროდუქტების ექსპორტისას ვეტერინარული სერტიფიკატის წარდგენის ვალდებულება.

წარმოებული პროდუქციის ნაწილი, (ტბორებში კულტივირებული/გამოზრდილი მდინარის კიბო), გადის ექსპორტზე ევრაზიის

ეკონომიკური კავშირის ტერიტორიაზე (რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა, სომხეთი), შესაბამისად, წარმოებული პროდუქტი ექვემდებარება ვეტერინარულ კონტროლს და ექსპორტის განხორციელებისას სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო გასცემს ვეტერინარულ სერტიფიკატს.

მიუხედავად იმისა, რომ „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბერის №429 დადგენილების დანართი 1-ში („ნუსხა სახელმწიფო ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის კოდების ჩვენებით“) სასაქონლო ნომენკლატურის კოდით 0306 (კიბოსნაირნი, გამოშიგნული ან გამოუშიგნავი, ცოცხალი, ახალი, შეყინული, გაყინული, ხმელი, დამარილებული ან მარილწყალში; კიბოსნაირნი გამოუშიგნავი, ორთქლზე ან მდუღარე წყალში მოხარშული, შეყინული ან გაუყინავი, გაყინული, ხმელი, დამარილებული ან ,მარილწყალში; თევზის ფქვილი წმინდად და უხეშად ნაფქვავი და გრანულები კიბოსნაირებისაგან, საკვებში გამოსაყენებლად ვარგისი) წარმოდგენილი პროდუქტის ექსპორტი და რეექსპორტი, ასევე ტრანზიტი არ დაიშვება საქართველოში სახელმწიფო ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის გარეშე, აღნიშნული სასაქონლო ნომენკლატურის კოდის პროდუქტი კვეთს საქართველოს საზღვარს ვეტერინარული სერტიფიკატის მოთხოვნის გარეშე, ვინაიდან:

ა) „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბერის №429 დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის გან-ხორციელების წესის“ მე-7 მუხლის თანახმად, ექსპორტის შემთხვევაში სერტიფიკატის წარდგენა სავალდებულო არ არის, გარდა სანაშენე და საკლავი ცხოველების ექსპორტისა;

ბ) საქართველოდან ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის რეექსპორტის შემთხვევაში ექსპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილი სამსახურის მიერ გაცემული ვეტერინარული სერტიფიკატის ორიგინალი მიჰყვება საქონელს დანიშნულებისამებრ, ხოლო სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში რჩება მისი დამოწმებული ასლი;

გ) საქართველოდან ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის რეექსპორტის შემთხვევაში, საქონლის მფლობელის მოთხოვნისას (როდესაც ხდება საქონლის პარტიებად დანაწევრება, გასხვისება და ა.შ.) ეროვნული სააგენტოს ან შემოსავლების სამსახურის მიერ ექსპორტიორი ქვეყნის ვეტერინარული სერტიფიკატის საფუძველზე გაიცემა ვეტერინარული სერტიფიკატი, რომელიც მიჰყვება საქონელს დანიშნულებისამებრ.

ამასთანავე, „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანების 45-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად (გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით (დანართი №IX–01)) შესაძლებელია გაფორმდეს ექსპორტში გაცხადებული 15 000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების საქონელი.

აღნიშნული გარემოებები საშუალებას იძლევა ვეტერინარული სერტიფიკატის წარდგენის გარეშე საქართველოდან ექსპორტზე გატანილი იქნას მცირე პარტიებად (15 000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების საქონელი) მდინარის კიბო , რაც რიგ მეწარმეებს აყენებს არათანაბარ კონკურენტულ გარემოში.

იმის გათვალისწინებით, რომ „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის №423 დადგენილების თანახმად მდინარის კიბო წარმოადგენს მთელი წლის განმავლობაში ჭერააკრძალულ სახეობას, საქართველოს ტერიტორიაზე მდინარის კიბოს რეწვა აკრძალულია და შესაბამისად, ექსპორტზე გატანილი მდინარის კიბო აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს აკვაკულტურის პროდუქტს. შესაბამისად, აკვაკულტურის ფერმა, რომელიც დაკავებულია

მდინარის კიბოს მოშენება/გამოზრდით, რეგისტრირებული უნდა იქნეს ბიზნესოპერატორად და ექვემდებარებოდეს ვეტერინარულ კონტროლს.

აღსანიშნავია ასევე, რომ „საქართველოს „წითელი ნუსხის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვალის №190 დადგენილების თანახმად, კიბოსნაირების ორი სახეობა (კოლხური ფართოფეხა კიბო Astacus colchicus Kessler, 1876 და პევცოვის კიბო Pontastacus pylzowi Skorikov, 1911) შეტანილია საქართველოს „წითელ ნუსხა“-ში, რაც გამორიცხავს მათ რეწვას/მოპოვებას ბუნებრივ გარემოში და შესაბამისად მათ შემდგომ ექსპორტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, მიზანშეწონილია, რომ „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბერის №429 დადგენილებაში შეტანილი იქნას ცვლილება, რომელიც ექსპორტის, რეექსპორტის შემთხვევაში, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელებისას, სავალდებულოს გახდის ვეტერინარული სერტიფიკატის წარდგენას.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

პროექტის მომზადებისას არ არის გამოყენებული ევროკავშირის სამართლებრივი აქტი.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე, არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის მიღება ხელს შეუწყობს აკვაკულტურის ან მისი პროდუქტების ექსპორტისას მეწარმეთათვის კონკურენტული გარემოს შექმნას, სურსათის

ბიზნესოპერატორებად დარეგისტრირებას და სახელმწიფო ვეტერინარული კონტროლის სრულფასოვნად განხორციელებას. ამასთან, გამორიცხავს „საქართველოს „წითელი ნუსხის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის დადგენილება №190 გათვალისწინებული კიბოსნაირების ორი სახეობის (კოლხური ფართოფეხა კიბო Astacus colchicus Kessler, 1876 და პევცოვის კიბო Pontastacus pylzowi Skorikov, 1911), რომელიც შეტანილია საქართველოს „წითელ ნუსხა“-ში მათ რეწვას/მოპოვებას ბუნებრივ გარემოში და შესაბამისად მათ შემდგომ ექსპორტს.

პროექტის განხორციელების ვადები

პროექტი ამოქმედდება გამოქვეყნებიდან 90-ე დღეს, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესოპერატორთა მომზადებს ახალი მოთხოვნებისათვის.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.